ფინანსთა
სამინისტრო

გორგასლის ქუჩა N16
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 226 14 44
info@mof.ge

07 ივლისი 2023

N 08-02/55144

მოქ. ელენე ნოდიას

ელ-ფოსტა: foi+request-1951-500a5423@askgov.ge

ქალბატონო ელენე,

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი წერილი, (საქართველოს ფინანსთა სამინისტროში რეგისტრაციის N68930/01; რეგისტრაციის თარიღი: 21.04.2023) რომელიც შეეხება 2013-2023 წლებში საზღვარგარეთის კურსებზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული თანამშრომლების რაოდენობის თაობაზე საჯარო ინფორმაციის მიწოდებას. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუდმივად ახლდება სამართლებრივი რეგულაციები, პროცედურები, სამუშაო პროცესები, ელექტრონული ტექნოლოგიები, იცვლება ორგანიზაციის ფუნქციები და სტრუქტურა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ორგანიზაცია და თანამშრომლები მუდმივად ზრუნავდნენ ცოდნის, პროფესიული, სოციალური, ტექნიკური უნარების, კომპეტენციების განვითარებაზე. პროფესიული ცოდნისა და უნარების უწყვეტი განვითარება თანამშრომელთა მიერ მათი ფუნქცია-მოვალეობების მაღალი ხარისხით შესრულებას უკავშირდება, რაც დაწესებულების მიზნებისა და ფუნქციების ეფექტურად და ეფექტიანად განხორციელებას უზრუნველყოფს.

აქვე გაცნობებთ, რომ „პროფესიული საჯარო მოხელის მიერ პროფესიული განვითარებისათვის სარგებლობის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 23 მაისის №246 დადგენილებით განისაზღვრა პროფესიული საჯარო მოხელის მიერ პროფესიული განვითარებისათვის შვებულებით სარგებლობის წესი და პირობები. აღნიშნულ პერიოდამდე ამ მიზნით გაწეული ხარჯები ცალკეულად არ აღირიცხებოდა. შესაბამისად, გაცნობებთ, რომ 2018 წლიდან დღემდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიზნებისა და ფუნქციების ეფექტურად და ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, ქვეყნის გარეთ არსებულ სასწავლო კურსებზე გაგზავნილ იქნა 87 (ოთხმოცდაშვიდი) თანამშრომელი.

ინფორმაციას კურსის დასახელების, თანამშრომლის პოზიციის და ხარჯების (რაც ძირითად შემთხვევებში მოიცავს დღიური ნორმის ნაწილის ანაზღაურებას) შესახებ, გიგზავნით დანართის სახით.

დანართი: „1“ (ერთი) Excel ფაილი.

პატივისცემით,

ბექა ჩხაიძე

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

იურიდიული დეპარტამენტი

https://edoc.mof.ge/public/#/55144-08-02-2-202307071410

ელექტრონული ხელმოწერა/ QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE